საბერძნეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია

ოქმი № 3087

საშობაო ეპისტოლე 2020

„ცანი იხარებდით და ქუეყანა საიდუმლოისა სიხარულითა აღივსენით, ესერა ბეთლემს ქუაბსა შინა იშვების ქრისტე, ყრმაა იგი, პირველ ყოველთა საუკუნეთა, ხორცითა გამოცხადნების“
(კანონი წინა-დღესასწაულისა, 23 დეკემბერი, გალობა მე-4(ბერძნ.)).

საყვარელნო მამანო და ძმანო, ქრისტეს მიერ სულიერნო შვილნო,

დღეს იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და გამობრწყინდა სიხარული მთელს ცისქვეშეთში! სიტყვა ღმერთი ზეცით გარდამოხდა და კაც-იქმნა ქვეყანასა ზედა, რათა კაცნი ღმერთსა შეაერთნეს და თანაზიარ-ჰყვნეს მისა! წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვით, ვიდრე უფალი ყოვლითა სიდიადითა „ზეცად“ სუფევდა, ჩვენ კი საკუთარი დაცემით ქვედადრეკილნი ვეგენით, „არ ძალ-გვედვა ვზიარებოდით მის სიკეთეებს, თანაშევრთვოდით მის კაცთმოყვარებას და ერთმანეთისგანუდიდესიგადაულახავიუფსკრულიგვყოფდა“(სიტყვა 41, §12), მაგრამ დღეს გაცხადდა ღმრთის მოწყალება და იზეიმა მისმა კაცთმოყვარებამ.

ამიტომაცგალობასიცოცხლისა,ანგელოზებრიდაზეციური,ქრისტეს შობის ღამეს გაისმა ბეთლემს ჰურიასტანისასა. წმინდა ანგელოზები გარე-მოადგნენ ღმრთაებრივ ბაგას, ვითარცა ქერუბიმებრივ საყდარს და „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა უღაღადებდეს“(კანონი წინა-დღესასწაულისა, 23 დეკემბერი, გალობა მე-9). ამ შეუდარებელი და ენით უთქმელი მშვენიერებისა და სიტკბოებისმქონეანგელოზთაგალობას ცდილობს მიემსგავსოს ქრისტეს ეკლესიის სადიდებელი საგალობლები დედამიწაზე, რათა თავისი შვილების სიხარული გამოხატოს ქრისტეს შობის



უდიდებულესი დღესასწაულის გამო. მოვლენა, რომელსაც დღეს ვზეიმობთ, იმდენად დიდი და გამოუთქმელია, რომ ყოველივე კაცთაგან მისთვის მადლიერების ნიშნად მიძღვნილი, უნდოდ და კნინად შეირაცხება. მაგრამ ვიყოთ ამ ზეციურ-მიწიერი დღესასწაულის თანამოდასე, რამდენადაც კაცთა ნათესავთაგან ერთგვარად ძღვნად შეწირული იქმნა „დედა ქალწული“! დედოფალი ღმრთისმშობელი, ყოვლად უბიწო დედა, მშობელი ემმანუელისა - ყველაზე ძვირფასი და აღმატებული ძღვენი, რომლის წინაშეც მოსდრკების ცა და მიწა, ზეციური და მიწიერი!

* * *

ქრისტეს შობის დღესასწაული სიხარულითა და მხიარულებით აღავსებს ყოველ ქმნილებას. ამსოფლიურ მწუხარებასა და პესიმიზმს ხომ ჩვენი ეკლესიის ესოდენ დიდი ოპტიმიზმის დაჩრდილვა არ ძალუძს. ძე და სიტყვა ღმრთისა მამისა, უფალი და ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე, შემოქმედი და მაცხოვარი ჩვენი კაცთა მოდგმისადმი უმწვერვალესი სიყვარულის გამო სულიწმიდით შემოვიდა ისტორიაში, რათა გვიხსნას ცოდვის მავნე და დამღუპველი ვირუსისაგან, ეშმაკის სიმწარისა და შხამისაგან, ხრწნადობის წყვდიადისა და სიკვდილისაგან. კეთილი ადამიანები სიხარულით განსცხრებიან, ღმრთისმოშიშებით, ლმობიერებითა და გულშემუსვრილებით განმხნევებულნი მართლმადიდებლობით უგალობენ „სიმდიდრესა ღმრთისმეტყველებისასა“. უკეთურნი კი, მიუხედავად სიმრავლისა, ურწმუნოების ყინელსა შინა იჭირვიან, არ უწყიან რა საით მიემართებიან და როგორი იქნება მათი აღსასრული. ისინი ზარდაცემულნი ცდილობენ, რომ ახალი შეთავაზებებითა და ტექნოლოგიების მართლაცდა გამაოგნებელი მიღწევებით ისარგებლონ, რათა ებრძოლონ „უხილავ მტერს“, რომელიც ზესთამჩენ კაცობრიობას უკვე დაუნდობლად უტევს და მას თავისსავე დიდ უძლურებას აჩვენებს. ამასთან, ხიბლის მწვერვალზე მყოფ ტექნოკრატებსა და მატერიალისტებს სჯერათ, რომ თავად ძალუძთ ტყვექმნილი კაცობრიობის „წამოყენება“, „უკვდავყოფა“ და „განღმრთობა“ და ამგვარად, მას თავისივე განდგომილებისა და მონობის მარადიულ ტყვედ აქცევენ. უგუნურნი ვერ ხვდებიან, რომ ხრწნადობისა და სიკვდილის წრეს მსახურებენ და აგრეთვე მას, ვინც ამ ყველაფრის უკან იმალება და აცდუნებს „ყოველსა სოფელსა“(გამოცხ. 12, 9).

* * *

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო,

ნუ შეგვაშინებს ახლად წარმოქმნილ პირობებში ცხოვრების გაგრძელების შავბნელი სცენარი. ნუ დავივიწყებთ, რომ ისტორიას მარად უძლეველი ქრისტე განაგებს, მაცხოვარი ჩვენი, რომელმაც დღიდან თავისი ღმრთაებრივი შობისა თავს-იდვა უმოწყალო

დევნა, წინასახე ჯვარისა და დაფლვისა. ამგვარად, შეურყეველმა და ძლევაშემოსილმა სიმდაბლემ მისი უზომო მოწყალებისა განძარცვნა მთავრობანი და ხელმწიფებანი ბნელეთისანი და განაქიქნა რა ძლეული და შერცხვენილი დემონები, საჩვენებელ ქმნნა იგინი(იხ. კოლას. 2,15).

მორწმუნეთათვის, მათთვის, რომლებიც ბოლომდე ერთგულნი არიან ღმრთისა და მოთმინებით გადააქვთ მწუხარებანი და განსაცდელნი მისი წმინდა სახელისათვის, განმზადებულ არს უხრწნელი გვირგვინი და მარადიული სასუფეველი ენით აღუწერელი და წარმოუდგენელი მშვენიერებისა.

თავადი უფალი, წყარო ცხოველი სასოებისა და გულსავსებისა, შემძლებელია მყის დაგვიხსნას ყოველი გამოუვალი მდგომარეობიდან. როდესაც გარემოებანი უსაზღვროდ რთულდება, ადამიანებს, ჩვეულებრივ, შავბნელი იდეები და წინათგრძნობები გვტანჯავს. მაგრამ სწორედ მაშინაა აუცილებელი დაუყოვნებლივ გავაცოცხლოთ ჩვენი სული იმ სიკეთეთა გახსნებით, რომლებიც ცხადად მოუმადლებია ღმერთს აქამომდე და რომელთა მოვლინებაც მას კვლავ ძალუძს, თუკი მოვუხმობთ სარწმუნოებით: „და ყოველსა, რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქუენ“(მათე 21,22). ლოცვა სინანულითა და ცოცხალი რწმენით ადრე თუ გვიან უცილობლად ჰპოვებს გამოძახილს.

მოწყალება ღმრთისა დაიფარავს ღმრთაებრივი შემწეობის შეუძვრელად მსასოებელთ, მწუხარე მოვლენათა მახვილი კი მხოლოდ უნანელ ცოდვილთ ექცევა სატანჯველად: „მრავალ გუემა არიან ცოდვილთათვის, ხოლო რომელნი ესვენ უფალსა, წყალობაი გარე-მოადგეს მათ“(ფსალ. 31, 10).

საითაც არ უნდა მივაპყროთ მზერა სარწმუნოების პანორამას, ეკლესიისა და ჩვენი წმინდანების ისტორიასა და გამოცდილებას, სავსებით ნათლად დავინახავთ იმის სასწაულებრივ დადასტურებას, რომ ჭეშმარიტად „ახს უფალი ყოველთა, რომელნი ხადიან მას“(ფსალ. 144,18).

მხოლოდ ჩვენ არ შევწყვიტოთ ეს წმინდა და მაცხოვნებელი, კურთხევის მომნიჭებელი ღაღადისი, რათა განვერნეთ ყოველგვარ უსასოებას და შიშს აწმყოსა და, განსაკუთრებით კი, მომავალზე, ოღონდ კი ჩვენ დავრჩეთ ჩვენს მაცხოვართან, მის წმინდა სხეულში - წმინდა მართლმადიდებელ ეკლესიაში, რაც არ უნდა მოხდეს და როგორადაც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, რათა ღირს ვიქმნათ ღმრთის ზეციური სასუფეველისა, ამინ!

ქრისტეს შობა 2020
ქრისტე იშვა!
წმინდა სინოდი
მთავარეპისკოპოსი ათენისა და სრულიად ელადისა
† კალინიკე